

ანგარიში

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული
მუშაობის შესახებ

საკრებულოს წევრის სახელი, გვარი: დავით სხირტლაძე

თანამდებობის დასახელება: საკრებულოს წევრი

საანგარიშო პერიოდი: - 2016 წელი

კომისი(ებ)ის დასახელება: საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის წევრი

ფრაქციის დასახელება: ფრაქცია „ქართული ოცნება – მრეწველები“ -ს თავმჯდომარე

- საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა:

სულ საკრებულოს სხდომის რაოდენობა - 24 სხდომა (10 რიგითი და 14 რიგგარეშე)

საკრებულოს სხდომაზე დასწრება - 22 სხდომა

ბიუროს სხდომის რაოდენობა - 21 სხდომა

ბიუროს სხდომაზე დასწრება - 20 სხდომა

- სულ კომისიის სხდომების რაოდენობა - 39 სხდომა

კომისიის სხდომებზე დასწრება:

- საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის
კომისიის მიერ ჩატარდა 9 სხდომა

დავესწარი - 8 სხდომას

- სულ ფრაქციის სხდომის რაოდენობა - 2 სხდომა

ფრაქციის სხდომებზე დასწრება - 2 სხდომა

- საკრებულოს წევრების მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები:

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელი პირობაა მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება. პრიორიტეტის ფარგლებში ქალაქის საცხოვრებელი უბნების ეზოების, დასასვენებელი პარკების და საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა, მნიშვნელოვანია არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და ექსპლოატაცია. აღნიშნულთან დაკავშირებით ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მხარდაჭერილი იქნა ქალაქ მერიის მიერ ინიცირებული „საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ“ განკარგულების პროექტი,

რომელიც მოიცავს საცხოვრებელი კორპუსის სახურავების გადახურვას, ქალაქის მარცხენა სანაპიროს ეზოების რეაბილიტაციას, სანიაღვრე სისტემებისა და სხვადასხვა საგზაო მონაკვეთის მოწესრიგებას, 30 სპორტული მოედნის მოწყობას, ასევე, ცურტაველის ქუჩაზე მდებარე N10 საბავშვო ბაღის დემონტაჟსა და მის ნაცვლად, ექვს ჯგუფზე გათვლილი ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობას. ზემოაღნიშნულთან საპროექტო წინადადებები, საკრებულოს თანხმობის შემდეგ, გადაეგზავნება საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს შესაბამის სამთავრობო კომისიას, შემდგომი განხილვისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან შესაბამისი დაფინანსების მიღების მიზნით.

- საკრებულოს წევრის მიერ სააგნარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა:

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ჩემს საქმიანობას წავმართავ საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით და სხვა ნორმატიული აქტებით.

ქალაქ რუსთავის საკრებულო აქტიურად თანამშრომლობს უცხოელ კოლეგებთან. დამეგობრებულ ქალაქებს შორის ხორციელდება გაცვლითი ხასიათის სხვადასხვა პროექტები და ღონისძიებები. ამის მაგალითია უკრაინაში, ქალაქ ვინიცაში, ევროპის ყოველწლიურ დღეებისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე ჩემი ვიზიტი.

როგორც საკრებულოს საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის წევრი ჩართული ვარ აღნიშნული კომისიის საქმიანობაში განსახილველად გამოტანილ საკითხებზე სათანადო დასკვნების შემუშავებაში. რაც შეეხება ფრაქცია „ქართული ოცნება - მრეწველებს“, ვთანამშრომლობთ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეებთან, სამოქალაქო სექტორის სუბიექტებთან. ფრაქცია ადგილობრივ დონეზე საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურადაა ჩართული და წარმოდგენილი. როგორც ფრაქციის თავმჯდომარე, წარვმართავ ფრაქციის სხდომებს. ფრაქციის წევრებთან ერთად აქტიურად ვმუშაობ სხვადასხვა თემებზე და განვიხილვის შემდეგ ჩვენს წინადადებებსა და მოსაზრებებს წარვუდგენთ საკრებულოს შემდგომი განხილვის მიზნით. პირადად მე, ვაფიქსირებ ჩემს პოზიციებს სხდომებზე ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით.

ამასთან, რეგულარულად ვხვდებოდე ჩემს ამომრჩევლებს და მათ მიერ წამოჭრილ პრობლემებს ვაყენებდი კომისიის (ფრაქციის) და საკრებულოს წინაშე. მოსახლეობის აზრის გათვალისწინებით, საკრებულოსა და მერიასთან მჭიდრო თანამშრომლობით, დადებითად გადაიჭრა ბევრი საკითხი.